პროექტი

განმარტებითი ბარათი
„მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 21 ნოემბრის №70 – IIს დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ:

ა.ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

დადგენილების პროექტის მიღების მიზეზია „მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში განხორციელებული ცვლილება, რომლის თანახმადაც საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის ძირითადი და სათადარიგო წევრების რიცხვის გაიზრდა 5-5 წევრით.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მიზანი:

დადგენილების პროექტის მიღების მიზანია საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის შემადგენლობის დაკომპლექტება საქართველოს პარლამენტის ბიუროს მიერ დამტკიცებული პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების შესაბამისად.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

„მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში განხორციელებული ცვლილების და საქართველოს პარლამენტის ბიუროს მიერ დამტკიცებული პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების შესაბამისად, დადგენილების პროექტი აყალიბებს საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობებს.

ბ) დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

დადგენილების პროექტის მიღება არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ე) დადგენილების პროექტის ავტორი:
დადგენილების პროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი ზვიად კვაჭანტირაძე.

ვ) დადგენილების პროექტის ინიციატორი:
დადგენილების პროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი ზვიად კვაჭანტირაძე.